საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეოფობი

თეოფობი (VI ს.), ლაზი (ეგრისელი) წარჩინებული, მოღვაწეობდა ეგრისში დიდი ომიანობის (542–562) პერიოდში. 550–551 საომარი ოპერაციების მიმდინარეობისას უკმაყოფილო იყო ბიზანტ. სარდლების ძალმომრეობით. ამით ისარგებლა ირანელთა სარდალმა მერმეროემ და მისი გადაბირება მოახერხა. თ-მ ირანელებს უბრძოლველად დაუთმო სტრატეგიული ციხესიმაგრე უქიმერიონი (ქუთაისის მახლობლად). ამ ციხესიმაგრის დაკარგვით ეგრისელებს და ბიზანტიელებს გარკვეული დროით ხელიდან გამოეცალათ ტერიტორია უქიმერიონიდან ლიხის მთამდე, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი.

წყარო: პროკოპი კესარიელი, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1965.

დ. ლეთოდიანი